დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.დმანისი

N 08 - 13

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

16/03/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №42 დადგენილების ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' 90-ე მუხლის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში გამოქვეყნდეს საჯაროდ განსახილველად და განთავსდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე - www. dmanisi.gov.ge.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (თავმჯდომარე სოფიო ასლამაზაშვილი).
3. ანგარიშთან დაკავშირებით მოსაზრებები წარდგენილ იქნას მისამართზე: წმ. ნინოს ქუჩა №41, საკრებულოს აპარატი.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ.ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე